



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
15 მარტი 2021


ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 52.9%-ით შემცირდა 616.9 მლნ აშშ დოლარამდე 2020 წელს. ინვესტიციების შემცირების ძირითად მიზეზს წარმოადგენს რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 340.5 მლნ აშშ დოლარით შეამცირა. ამასთან, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო სექტორი (400.3 მლნ აშშ დოლარი, +47.1% წ/წ), სამთომშპოვნითი მრეწველობა (101.5 მლნ აშშ დოლარი, +93.8% წ/წ), უძრავი ქონება (71.8 მლნ აშშ დოლარი, +729.0% წ/წ) და დამამუშავებელი მრეწველობა (68.1 მლნ აშშ დოლარი, -41.0% წ/წ). ამასთან, უარყოფითი (-221.5 მლნ აშშ დოლარი) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაფიქსირდა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში, რაც ზემოაღნიშნული მესაკუთრის ცვლილებით იხსნება. ქვეყნების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ გაერთიანებული სამეფო (307.8 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდი (172.1 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (108.1 მლნ აშშ დოლარი) და აშშ (93.3 მლნ აშშ დოლარი).

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2021 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 18.6%-ით გაიზარდა და 4.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, რეზერვები წინა თვესთან შედარებით 0.6%-ით შემცირდა (-25.5 მლნ აშშ დოლარი). თებერვალში რეზერვების ცვლილება საერთაშორისო დონორების დახმარებების ჩამორიცხვებს და სავალუტო აუქციონზე 40.0 მლნ აშშ დოლარის გაყიდვას უკავშირდება.

ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2021 წლის თებერვალში საერთაშორისო ვიზიტების (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები) რაოდენობა წლიურად 89.5%-ით შემცირდა და 40.5 ათასი ვიზიტორი შეადგინა, რაც COVID-19 პანდემიის შედეგია. ჯამურად, 2021 წლის იანვარ-თებერვალში საერთაშორისო ვიზიტები 91.8%-ით შემცირდა და 74.3 ათასი ვიზიტორი შეადგინა. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 2021 წლის იანვარ-თებერვალში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 33.4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (-90.6% წ/წ).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქსტატი


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მოთხოვნი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	FitchRatings BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021
---	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 9 მარტს 1-წლიანი 15 მლნ ლარის (4.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის საბაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით არ შეცვლილა და 7.944% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 23 მარტს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენძმარც ობლიგაციები გაიყიდება.

საბაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	30	135	100
1-წელი	30	135	610
2-წელი	40	180	1,230
5-წელი	70	350	2,298
10-წელი	25	75	1,262
სულ	195	875	5,500


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 31 იანვრის მდგომარეობით

საბაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა საბაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.23%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.25 (+0.20% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.76 (-0.75% წინა კვირასთან შედარებით), 5.48%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.25 (+0.13% წინა კვირასთან შედარებით), 4.37%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 106.60 ფასად (-0.37% წინა კვირასთან შედარებით), 2.63%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.42 (-0.12% წინა კვირასთან შედარებით), 0.97%-იანი შემოსავლიანობით.


ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილიქეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB-/BB-/Ba2	100.42	0.97	76.94
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	106.60	2.63	242.52
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	-/BB-/	100.25	4.37	420.78
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B-/Ba2	106.25	3.23	291.08
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-/	108.65	9.23	757.91
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	101.76	5.48	504.62
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.90	7.31	603.93
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B-/Ba2	106.41	3.64	314.66
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-/	105.99	9.64	822.44
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B-/	104.34	6.59	578.03

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B-/	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/B-/	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/B-/	99.99	n/a	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B-/	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების პირითადაი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.42	0.97	76.94
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.51	1.70	151.57
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	102.02	5.76	551.23
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	109.82	1.07	49.12
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	109.65	0.96	61.54
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B2	100.19	0.78	59.32
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	102.08	3.15	296.56

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 10.84 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.46% წინა კვირასთან შედარებით და -5.24% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 211 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.54 – 10.94 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 49 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +5.16% წინა კვირასთან შედარებით და +0.57% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 273 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 4.82 – 5.42 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.20 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.06% წინა კვირასთან შედარებით და -7.59% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 135 ათასს გადააჭარბა, GBP 10.72 – 11.42 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 41 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	10.84	533	18.5%	-24.2%	-11.3%	7.97x	4.45x	0.96x	0.79x
TBC	TBC	GBP	11.20	616	16.8%	-7.5%	-11.2%	6.76x	4.84x	0.94x	0.81x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.55	3,982	15.0%	16.5%	12.0%	5.44x	5.14x	1.11x	1.03x
VTB Bank	VTBR	US\$	1.00	6,487	11.1%	-4.0%	3.6%	6.71x	2.71x	0.35x	0.32x
Akbank	AKBNK	TRY	6.13	31,876	25.8%	-9.4%	-10.5%	5.24x	3.89x	0.52x	0.45x
Garanti	GARAN	TRY	8.92	37,464	34.3%	-1.9%	-11.6%	5.49x	3.90x	0.59x	0.51x
Isbank	ISCTR	TRY	5.85	26,325	15.1%	4.8%	-16.1%	3.86x	3.20x	0.39x	0.35x
PKO	PKO	PLN	32.13	40,163	53.1%	17.2%	13.9%	13.79x	11.98x	0.88x	0.86x
PEKAO	PEO	PLN	73.44	19,276	44.4%	-7.6%	21.4%	15.78x	11.93x	0.75x	0.73x
Millennium	MIL	PLN	4.02	4,876	38.7%	-1.9%	26.0%	67.90x	19.72x	0.53x	0.52x
Mbank	MBK	PLN	235.00	9,949	29.7%	-2.3%	32.9%	39.55x	19.34x	0.57x	0.59x
BRD	BRD	RON	15.34	10,690	21.6%	10.6%	2.3%	13.28x	10.67x	1.18x	1.41x
Banca Transilvania	TLV	RON	2.36	12,310	5.9%	10.0%	2.2%	12.70x	7.60x	1.48x	1.24x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.52x	10.47x	0.70x	0.65x
Komerční	KOMB	CZK	688.00	130,754	30.0%	3.2%	4.1%	16.00x	14.26x	1.13x	1.09x
საშუალო								15.53x	8.94x	0.80x	0.76x
მედიანა								12.52x	7.60x	0.75x	0.73x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.30	195	40.1%	-19.4%	-7.4%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.50	341	-4.2%	-6.0%	-2.7%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.56	21,547	37.3%	20.4%	-5.2%	4.42x	3.75x	0.58x	0.50x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	35.50	534	12.1%	23.4%	6.6%	na	12.46x	1.23x	1.23x
Eurazeo	RF	EUR	66.40	5,230	31.0%	17.5%	10.0%	31.49x	6.68x	0.94x	0.76x
Carlyle Group	CG	USD	36.57	4,048	43.7%	54.7%	15.6%	6.15x	5.06x	6.04x	4.58x
საშუალო								14.02x	6.99x	2.20x	1.77x
მედიანა								6.15x	5.87x	1.09x	1.00x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდეს რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდეს ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოათზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge